ᲕᲐᲚᲘᲮᲐᲓᲘ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. და თბ. კომიტეტების და საქ. საპის ორგანო

ტელეფონები ხელმძღვანელობა—14—76, განყ. მოთავეებისა—22—17, სამეურნეო—10—58, რედ. კანტორისა—8—81.

შაბათი, 12 ნოემბერი 1932 წ. № 262 (3516)

პროლეტარული რევოლუციის მეთექვსმეტე წელი

ოქტომბრის 15 წლის თავი აღინიშნა ოვოლიუციონერ მუშათა და გლეხთა მძლავრი დემონსტრაციებით არა მარტო ჩვენში, პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში, არამედ კაპიტალისტურ სახელმწიფოებშიაც. ყველა ქვეყანაში მუშათა კლასმა და დაჩაგრულმა ხალხებმა 7 ნოემბერს მაღლა ასწიეს პროლეტარული ბრძოლის დროშები, ლენინიზმის დროშები, კომუნისტური ინტერნაციონალის დროშები.

გერმანიაში, პოლონეთში. რუმინეთში, იაპონიაში, ინგლისში, ჩინეთში, საფრანგეთში — ყველგან, ტეროორის და აკრძალვის მიუხედავად, სოციალ-ფაშიზმის ბელადების საბოტაჟის მიუხედავად, ჩატარდა ოქტომბრის დემონსტრაციები. გაბატონებული კლასები და მათი ლაქიები მე-2 ინტერნაციონალიდან, შეშინებულნი მასების ოვოლიუციური მოძრაობის გაშლით, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა აგრეთვე გერმანიის კომპარტიის გამარჯვებაში რაიხსტაგის არჩევნების დროს, — დრაკონული ზომების მიმართავდენ იმისათვის, რომ ოქტომბრის დღეებში არ დაეშვათ პროლეტარიატის გამოსვლები. დიდ სამრეწველო ცენტრებში მუშები მასიურად დაუპატიმრეს. შანხაისა და ხანკოუში შემოღებულ იქნა საალყო წესები. მანჯურიაში იაპონიის პოლიციამაც მოახდინა მასიური დაპატიმრება რევოლიუციური გამოსვლების თავიდან ასაცილებლად.

მაგრამ ამიტომ კაპიტალიზმს არ შეუძლია მისცეს საზრდო მშიერთ, ბურჟუაზიას არ შეუძლია მისცეს სამუშაო უმუშევართა მილიონებს, არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს მთელი კაპიტალისტური სარეწარის აპარატის ამოქმედება. ხოლო ხიშტით, ფაშისტური ტეროორით და მუშათა ორგანიზაციების და რბენით შეუძლებელია იმ საშინელი გაჭირვების მოსპობა, რომელსაც განიცდის ათეული მილიონი პროლეტარი და სპეციალისტ-კაპიტალისტური ქვეყნებში. თუ რამდენად დიდია გაჭირვება, ამას მოწმობს უმუშევარ მუშებისა და სპეციალისტების მასიური თვითმკვლელობა. გერმანიაში 1931 წელს შიმშილისა და სიღატაკის ნიადაგზე თავი მოიკლა 20 ათასზე მეტმა კაცმა. რანაირ სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს კაპიტალიზმს მშრომელები, თუ ისინი ათასობით სიკვდილში ეძებენ ხსნას სიღატაკისა და შიმშილისაგან. კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშებს აწევთ კაპიტალიზმის დაშლით და კრიზისით გამოწვეული სიმძიმე. ყოველი მუშა ჩვენს ქვეყანაში უნდა ჩაუფიქრდეს იმას, თუ რა სისხლისღვრამდე და რა საკატორგო ცხოვრებამდე მიიყვანდა კაპიტალიზმი მშრომელებს ჩვენს ქიყანაში, რომ პროლეტარულ რევოლიუციას არ გაემარჯვა. რუსეთის პროლეტარიატმა ოქტომბრის რევოლიუციით თავი დააღწია კრიზისს და იმპერიალისტური ომების პირველ ტურს, ჩვენ ვაიძულეთ მემამორიები და კაპიტალისტები პასუხი ეგოთ იმპერიალისტური ომისა და საუკუნოებრივი ჩაგვრისათვის. ჩვენ მათ ხელიდან გამოვგლიჯეთ ძალა-უფლება, მიწა და საწარმონი. საერთაშორისო პროლეტარიატი, რომელსაც თავის მხრივ ზე გადააქვს მსოფლიო ეკონომიური კრიზისის სიმძიმე და იმპერიალისტური ომების პირველ ტურს, ჩვენ ვაძლევთ მას ისტორიულად შემოწმებული ხელმძღვანელობით აბზ. სტალინის, პარტიის ბელადის, ჩვენი ხელმძღვანელის, აბზანაგის და მეგობრის მეთაურობით, რომელსაც დღეს პარტია და მშრომელები მეგობრულად თანაუგრძნობენ ნადეყდა სერგის ასულ ალილუევას გარდაცვალების გამო.

ოვოლიუციის მე-16 წელს კიდევ უფრო მაღლა ავსწიოთ პარტიული და კომუნისტური იდეურობის დროშები, უფრო ახლოს მივიდეთ მასებთან, კიდევ უფრო გავაძაფროთ შეუპოვარი ბრძოლა მათი საჭიროების და მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

წინ პროლეტარული რევოლიუციის ახალ-ახალ გამარჯვებისაკენ.

„პრავდა“, 11 ნოემბერი.

რკვევა ფაშისტების რიგებში

მოსკოვი, 10 ნოემბერი. „პრავდა“-ს საკუთარი კორესპონდენტი ბერლინიდან ატყობინებს:

„არჩევნების შედეგები აძლიერებენ ნაციონალ - სოციალისტების რიგებში დაწყებულ რკვევის პროცესს. დორტმუნდში არჩეინების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ ნაციონალ-სოციალისტების პარტიიდან გავიდენ პარტიის თვალსაჩინო მუშაკები: დორტმუნდის ნაციონალ-სოციალისტების ორგანიზაციის ორ მაარსებელი — **კენიგი**, სპპროპაგანდო განყოფილების გამგე **გეისლერი**, ხაზინადარი **პაულიჩკა** და კომიტეტის წევრი **გოფაკერი**. გავიდენ აგრეთვე პარტიის მთელი რიგი წევრები.

ბადენში ნაციონალ - სოციალისტთა პარტიის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა დაეშალა ქალაქ არის ადგილობრივი ჯგუფი. ადგილობრივი ჯგუფის ხელმძღვანელები გამორიცხული არიან პარტიიდან.

არჩევნების შედეგების გავლენა გერმანიის მთავრობის სხდომაზე

ბერლინი, 10 ნოემბ. შესდგა ვერ-ის მთავრობის სხდომა, ორშეზედაც განიხილეს არჩევნების შედეგების საკითხი. ოფიციალური ცნობით, მთავრობის თავმჯდომარე ფონ პაპენი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„გერმანიის მთავრობა უარს ამბობს გადადგომაზე, რეიხსტაგის არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით. დღეს რეიხსკანცლერი ინახულებს პრეზიდენტ ჰინდენბურგს და მისცემს მას წინადადებას პარტიებთან მოლაპარაკების შესახებ. ამას გარდა, რეიხსკანცლერი ხვალ გამართავს მოლაპარაკებას გერმანიის პროვინციების პრემიერ-მინისტრებთან (ადს).

სამი მიმდინარეობა ჰიტლერის პარტიაში

ბერლინი, 10 ნოემბერი. ბურჟუაზიულ გაზეთ „ცვილფ ურ ბლატტ“-ის ცნობით, **ნაციონალ-სოციალისტურ პარტიაში არის სამი მიმდინარეობა.**

პირველი, რომელსაც სათავეში უდგას პარტიის „თეორეტიკოსი“ გრეგორ შტრასერი, საჭიროდ სთვლის ნაციონალ-სოციალისტების შესვლას მთავრობის შემადგენლობაში და ამავე დროს არ მოითხოვს კანცლერის პოსტს.

მეორე ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობენ ჰიტლერი და რეიხსტაგის ყოფილი თავმჯდომარე გერინგი, კატეგორიულად მოითხოვს ყველაზე ნაციონალ-სოციალისტებს სრულიად გერმანიის მთავრობის ხელმძღვანელობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მასწყობენ „ოპოზიციაში“ დარჩენას.

მესამე ჯგუფი, რომელსაც მეთაუროობს ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ბერლინის ორგანიზაციის თავმჯდომარე გეზელსი, მთავრობაში ნაციონალ-სოციალისტების შესვლის წინააღმდეგია და მოითხოვს „ბრძოლას“ მთავრობის წინააღმდეგ (ადს).

„საბჭოთა მთავრობა ყველაზე უფრო მტკიცე მთავრობაა მსოფლიოში“

ლონდონი, 10 ნოემბერი. „ნიუ -ინგ- ლიშ უიკლი რევიუ“-ში ბეატრისა ვები სწერს:

„საბჭოთა მთავრობა ყველაზე უფრო მტკიცე მთავრობაა მსოფლიოში. საბჭოთა კავშირმა შექმნა ახალი ცივილიზაცია და ახალი კულტურა, რაც თავისი ინტელექტუალური და ეთიური უპირატესობის მეოხებით, უახლოეს ათიოდ წელში გავრცელდება მრავალ ქვეყანაში“

ბეატრისა ვები აღნიშნავს, კომკავშირის უდიდეს როლს, ახალი სპეციალისტების შექმნაში და განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რომ ახალი საბჭოთა თაობა იზრდება თვითგანვითარებისაკენ მისწრაფების საზოგადოებრივ სრულიად განსხვავებულ ატმოსფეროში, პასუხისმგებლობის გრძნობის და პირადი ინიციატივის ატმოსფეროში. **„ომუნისტური ახალგაზრდობა,—** აღნიშნავს ვები,— **წარმოადგენს საუკეთესო არმიას ძველ რუსეთისაგან მემკვიდრეობით მიღებულ ჩამორჩენილობის, სიძნელის, უმეცრების და ანატოლის წინააღმდეგ ბრძოლაში“** (ადს).

ერთა ლიგის უძლურების მორიგი ფაქტი

წინადადება შეერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის მონაწილეობის შესახებ მანჯურიის საკით ხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად

ჟენევა, 10 ნოემბერი. ერთა ლიგის წრეების ყურადღებას იპყრობს ის ამბავი, რომ საქიროა შეერთებულ შტატების და საბჭოთა კავშირის მოწვევა მანჯურიის საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღებად. „ჟურნალ დე ნასიონს“ აცხადებს, რომ ერთა ლიგის სამღივნო აყენებს წინადადებას, რათა 19-ის კომიტეტთან ერთად ერთა ლიგის საგანგებო პლენუმის სესიაზე შეიქმნას განსაკუთრებული საკონსულტაციო კომიტეტი შეერთებულ შტატების და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების მონაწილეობით. გაზეთი ილაპარაკობს იმაზე, რომ ერთა ლიგის კომისიის მოსმენების განხილვაზე, მაშინ მონაწილეობა უნდა მიიღონ მხოლოდ ერთა ლიგის წევრებმა. ხოლო თუ საკითხი განხილულ იქნება კელოგის პაქტის საფუძველზე, მაშინ უფრო მიზანშეწონილია, რომ ამერიკამ მოიწვიოს პაქტის მონაწილეთა კონფერენცია“ (ადს).

სისხლისმღვრელი შეტაკება მუშებსა და პოლიციას შორის ჟენევაში

ოცკლულია 10, მძიმედ დაიჭრა 65 მუშა

პარიზი, 10 ნოემბერი. „ნაციონალურმა კავშირმა“ (ტკიცურეს მემარჯვენეთა ორგანიზაცია) მოაწყვია მიტინგი სოციალისტ დეპუტატების დეკრის და ნიკოლის „დასაგმობად“ იმისათვის, რომ მათ, მეორე ინტერნაციონალის მხრით აკრძალეის მიუხედავად, მონაწილეობა მიიღეს ამსტერდამის ომის საწინააღმდეგო კონგრესში. მიტინგის დაწყების წინ პოლიციამ ალყა შემოარტყა მასწლობელ ჭუჭებს, **უარზედან გამოაცხადეს საბრძოლველად მომზადებული შეიარაღებული ჯგუფის არსებობა.** ჩასვეს ავტომობილებში. **ლოზანიდან სპეციალური მატარებლით ჩამოვიდა 600 ჯარისკაცი.**

დარბაზის კარებს გალების წინ „ნაციონალური კავშირის“ 200 წევრი შეიდა დარბაზში. კრება გახსნა თავმჯდომარემ **შტეინმეცმა,** რომელმაც სასტიკად გაილაშქრა ამსტერდამის კონგრესის და აგრეთვე პარტიის წინააღმდეგ. მუშები, რომლებმაც პროტესტი განაცხადეს შტეინმეცის სიტყვის წინააღმდეგ, ძალით გაიყვანეს დარბაზიდან. 5 ათასი კაცისაგან შემდგარმა მასამ გაარღვია პოლიციის ალყა. მაშინ პოლიციელებმა და ჟანდარმებმა სროლა ატეხეს. გაჩაღდა ბრძოლა. პოლიციას მიეშველენ ჯარისკაცები, რომლებიაც ატეხეს სროლა აეტანით. მუშებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და შეიკედნენ თოფები წაართმიათ ჯარისკაცები სათვის. პოლიციელებმა და ჯარისკაცებმა ჯერ უკან დაიხიეს, ხოლო შემდეგ ასტეხეს სროლა ტყვიამფრქვეველებიდან. **მოკლეს 10 მუშა და მძიმედ დასჭრეს 65, ჯარისკაცების მხრიდან 19, მათ შორის 2 ოფიცერი.**

დამით მუშები განაგრძობდენ დემონსტრაციას ქუჩებს ჯუჭებში. ქალაქის სხვადასხვა უბნებში დგებან ჟანდარმები და ჯარისკაცები ტყვიამფრქვეველებით. მთავრობამ დაადგინა მოახდინოს 4 ბათალიონის მობილიზაცია (ადს).

პრეზიდენტის ბარმოადგენის პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება

ბაღლების კომპარტიის საარჩევნო მანიფესტი

პარიზი, 10 ნოემბერი. როგორც ბელგიიდან იუწყებიან, ბროკვილის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი პარლამენტის დათხოვნის შესახებ და დანიშნა ახალი არჩევნები 27 ნოემბრისათვის.

კომუნისტური გაზეთი „დრაპო რუჟი“ ათავსებს კომპარტიის საარჩევნო მანიფესტს. მანიფესტში ნათქვამია:

„მსოფლიო ეკონომიური კრიზისის მეორე წელი გვიქადის მშრომელი მასების გაღატაკების ახალ ზრდას კაპიტალის ექსპლოატაციის ახალ ზრდას. **კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლის** ყველა გეგმები, რომლებსაც აყენებს ბურჟუაზია, მხოლოდ იარაღებენ მდგომარეობას. **კრიზისიდან ერთად-ერთ გამოსავალს,—ნათქვამია მანიფესტში, — წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება.** მანიფესტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რეწვინების რეაქციული მთავრობა აღგვილ იქნა ფაშიო მასების ზეგავლენით, 200 ათასზე მეტი ბელგიელი მარაროტების, მელითონელების და სხვ. პროფესიების მუშათა გმირულმა გაფიცვამ გამოაღვიძებული ლახვარი ჩასცა შიმშილის და სიღატაკის მოკვრამას. მანიფესტი ამეცადინებს ბელგიის მუშათა პარტიის ხელმძღვანელობის მოღალატურ როლს, რომელიც თანამშრომლობს ბურჟუაზიასთან ბელგიის მუშათა კლასის წინააღმდეგ შემდგომ შეტევის საქმეში. მანიფესტი მოუწოდებს ყველა მშრომელებს შეჭნან ბურჟუაზიასთან ბრძოლის მთელი ფრონტი იმის მიხედვით, როგორიც არსებობდა მაღაროელების გაფიცვის დროს. მანიფესტი მოუწოდებს მასებს **იბრძოლონ შიმშილისა და სიღატაკის წინააღმდეგ, იბრძოლონ საფრანგეთის და გერმანიის პროლეტარიატების ერთად ერთასების მტაცებლური ხელშეკრულების წინააღმდეგ, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, საფრანგეთ-ბელგიის სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად** (ადს).

განიარაღების კონტროლის ორგანიზაციის საკითხი

ჟენევა, 10 ნოემბერი. განიარაღების კონფერენციის ბიუროს სხდომაზე გრძელდა მომავალი განიარაღების კონტროლის ორგანიზაციის **შესახებ ბურკენის** მიერ წარმოდგენილი მოხსენების განხილვა. საბჭოთა დელეგატმა **ამბ. შტერნმა** მოაგონა საბჭოს, რომ 1928 წელს საბჭოთა დელეგაციამ წამოაყენა წინადადება მოწყობილიყო მუშათა კონტროლი შეიარაღების შეცირების კონფერენციის განხორციელებაზე. საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს, რომ ასეთი კონტროლი იქნება ყველაზე უფრო ნამდვილი და სიმედო. მუშათა კონტროლის დროს არაფერი იქნება დაფარული საზოგადოებრივი აზრისაგან, რადგან მუშები უკეთ არიან იცის, თუ რა კეთდება საწარმოებში, და მუშების გარდა არავინაა დაინტერესებული ახალი ომების თავიდან აცილებაში. საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარემ ამბ. დოგადეზემ განაცხადა:

„საბჭოთა დელეგაციის თვალსაზრისი კონტროლის საკითხში საკმაოდ ცნობილია. საბჭოთა წინადადებანი ამ საკითხებზე ბევრად უფრო ფართოა მიზანს ისახავენ, ვიდრე სხვა დელეგაციების წინადადებანი, ვინაიდან საბჭოთა დელეგაცია საქიროდ სცნობდა განიარაღების განხორციელების უზრუნველყოფას, რაც შეიძლება უფრო ნაკლებ ხარჯებით. საბჭოთა დელეგაციის აზრით, ეს მიიღწევა მხოლოდ მაშინ, თუ ყველა ქვეყანა ერთნაირ პირობებში იქნება მოთავსებული. ამიტომ საბჭოთა დელეგაცია ითხოვს, რომ ყველა ქვეყანამ ერთნაირად შეამციროს თავისი შეიარაღება. ამ მიზნით საბჭოთა დელეგაციამ წარადგინა წინადადება, რომ ყველა ქვეყანამ შეამციროს ერთნაირად ერთ მილიარდ მანეთამდე ოქროთი ყველა ის ხარჯები, რომლებიც ეხება ომის მასალის, საბრძოლო ხომალდების, საბრძოლო თვითმფრინავების, ტანკების, ქიმიური ომის საშუალებების, ზენიტური არტილერიის, ბრძოლის ნავების, ქვეითი ჯარის, საზღვაო ჯარის, საჰაერო ჯარის, ფრონტის ზურგის და ტერიტორიული ჯარების შენახვას. ამ ხარჯების შემცირების შემდეგ ყველა ქვეყანამ უნდა

პარტიული მშენებლობა

სისტემატიურად შევავსოთ სავაჭრო-კოოპერატიული აპარატი შემოწმებული კომუნისტებით და კომკავშირელებით

დიდი საკოლმეურნეო ბაზრობა ბათომში

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 4 სექტემბრის პლენუმმა არა საკმაოდ ჩასთვალა საკოლმეურნეო ვაჭრობის საქმეში მიღწეული წარმატებები და კონკრეტული საბრძოლო ამოცანები დაუსახა პარტიულ ორგანიზაციებს. ამ დარგში ბრძოლის წინადადება მისცა პარტიულ ორგანიზაციებს „ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ საკოლმეურნეო ვაჭრობის შემდგომ ზრდის (კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მშრომელ გლეხთა დიდი რაოდენობის ჩაბმა ვაჭრობაში, საკოლმეურნეო სავაჭრო ქსელის მოწყობის გაუმჯობესება, კერძოდ ვაჭრობის გაძლიერება სარეწაო კოოპერაციის პროდარტ-ით“) ამ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიზნით ს. კ.პ. (ბ) აჭარისტანის დაგეგმილებით 20-25 ნოემბერს ქ. ბათომში მოეწყობა დიდი საკოლმეურნეო ბაზრობა. საკოლმეურნეო ბაზრობაში აჭარისტანის რაიონების კოლმეურნეობებსა და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხობასთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სხვადასხვა რაიონები (ადიგენი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, სამტრედია, ვანი და სხვ.).

საკოლმეურნეო ბაზრობის მომწყობი ცენტრალური შტაბი უკვე შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას.

აჭარისტანის ორაიონების პარტორგანიზაციები და კოლმეურნეობები ფართეთ გამოეხმაურა ხალმძღვანელი ორგანოების დადგენილებას—საკოლმეურნეო ბაზრობის მოწყობის შესახებ და გაცხოველებით ემზადებიან ბაზრობაზე ორგანიზაციულად გამოსვლის უზრუნველსაყოფად.

კოლმეურნეობა „ახალი წამოწყება“-ს წევრთა კრებამ, საკ. კ.პ. (ბ) სექტემბრის პლენუმის შედეგებს და დამუშავებასთან დაკავშირებით განიხილა საკითხი ქ. ბათომის საკოლმეურნეო ბაზრობის მოწყობის საკითხი და მიიღო სათანადო კონკრეტული ღონისძიებანი, ბაზრობაზე ამ კოლმეურნეობას გამოაქვს 7 ტონა ბოსტნეულის პროდუქცია,

კოლმეურნეობა „ახალი წამოწყება“-ს წევრთა საერთო კრებამ მოწონდებით მიმართა აჭარისტანის ყველა კოლმეურნეობებს, რათა აქედანვე გაშალონ ფართე მოსამზადებელი მუშაობა საკოლმეურნეო ბაზრობის წარმატებით ჩასატარებლად.

აბჩარელი.

მივცეთ ქვეყანას მეტი ფართო მოხმარების საქონელი

27 ოქტომბერს, ოზურგეთის რკინის გზის კლუბში გაიხსნა საქ. კ.პ. (ბ) ბორჯომის რაიკომის და რაიონსაკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი, რაიონის პარტაქტივთან ერთად, რომელზედაც მოსმენილი იქნა ამხ. ცხოვრებაშვილის მოხსენება საკ. კ.პ. (ბ) ცეკას სექტემბრის პლენუმის და ს. კ.პ. (ბ) ცეკას ოქტომბრის პლენუმის შედეგების შესახებ. აგრეთვე განიხილა საკითხები მესაქონლეობის განვითარების და სასურსორტო მშენებლობის მდგომარეობის ბესახებ რაიონში.

პლენუმმა ბოლშევიკური თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის საფუძველზე გაამახვილა პარტორგანიზაციის ყურადღება საბჭოთა ვაჭრობის განვითარების და ფართო მოხმარების საქონლის დამზადების ამოცანებზე. საკ. კ.პ. (ბ) ცეკას სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები დამუშავებულია ყველა პარტ-უჯრედების ღია კრებებზე. პლენუმმა მთლიანად და სავსებით მოიწონა საკ. კ.პ. (ბ) ცეკას და ს. კ. დადგენილება რიუტინის ჯგუფის და მისი დამჭაშების პარტიის რიგებიდან გარიცხვის შესახებ და აღნიშნა, რომ ბორჯომის რაიონის პარტორგანიზაცია, როგორც ყოველთვის მომავალშიაც მედგრად იბრძოლებს პარტიის მთლიანობისათვის, კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის ნამსხვრევების და ყოველგვარ ოპორტუნისტული გადახრების წინააღმდეგ.

გრ. ლომიძე.

მივცეთ ქვეყანას მეტი ფართო მოხმარების საქონელი

27 ოქტომბერს, ბორჯომის რკინის გზის კლუბში გაიხსნა საქ. კ.პ. (ბ) ბორჯომის რაიკომის და რაიონსაკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი, რაიონის პარტაქტივთან ერთად, რომელზედაც მოსმენილი იქნა ამხ. ცხოვრებაშვილის მოხსენება საკ. კ.პ. (ბ) ცეკას სექტემბრის პლენუმის და ს. კ.პ. (ბ) ცეკას ოქტომბრის პლენუმის შედეგების შესახებ. აგრეთვე განიხილა საკითხები მესაქონლეობის განვითარების და სასურსორტო მშენებლობის მდგომარეობის ბესახებ რაიონში.

პლენუმმა ბოლშევიკური თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის საფუძველზე გაამახვილა პარტორგანიზაციის ყურადღება საბჭოთა ვაჭრობის განვითარების და ფართო მოხმარების საქონლის დამზადების ამოცანებზე. საკ. კ.პ. (ბ) ცეკას სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები დამუშავებულია ყველა პარტ-უჯრედების ღია კრებებზე. პლენუმმა მთლიანად და სავსებით მოიწონა საკ. კ.პ. (ბ) ცეკას და ს. კ. დადგენილება რიუტინის ჯგუფის და მისი დამჭაშების პარტიის რიგებიდან გარიცხვის შესახებ და აღნიშნა, რომ ბორჯომის რაიონის პარტორგანიზაცია, როგორც ყოველთვის მომავალშიაც მედგრად იბრძოლებს პარტიის მთლიანობისათვის, კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის ნამსხვრევების და ყოველგვარ ოპორტუნისტული გადახრების წინააღმდეგ.

გრ. ლომიძე.

განვამტკიცოთ სავაჭრო-კოოპერატიული ქსელი მომზადებული კადრებით

საკ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს სამტრედიის რაიონული პარტიული ორგანიზაცია ფართოდ გამოეხმაურა.

28 ოქტომბერს მოწვეული იქნა საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის პლენუმი, პარტუჯრედის მდივნებთან და კომკავშირის აქტივთან ერთად. პლენუმმა მოისმინა მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ცეკას სექტემბრის პლენუმის შედეგების შესახებ. რაიკომის პლენუმმა მთლიანად და სავსებით მოიწონა ს. კ. პ. (ბ) ცეკას სექტემბრის გადაწყვეტილებები და მასი რეალიზაციისათვის დასახა კონკრეტული ღონისძიებები.

რაიკომის პლენუმმა აღშფოთება გამოსთქვა რიუტინის ჯგუფის კონტრ-რევოლუციური მუშაობის შესახებ, მოიწონა ცენტ. საკ. კომისიის 9 ოქტომბრის დადგენილება, რიუტინის ჯგუფის და მისი დამჭაშების პარტიის რიგებიდან გაძევების შესახებ.

პლენუმმა აღნიშნა, რომ რაიონში ჯერ კიდევ სუსტია საბჭოთა ვაჭრობის ქსელის გაშლა და განსაკუთრებით სარეწაო კოოპერაციის ხვედრითი მოხვედრების საგნების წარმოების დარგში არსებულ დეფიციტის ლიკვიდაციის საქმეში.

პლენუმმა მიჩნია, რომ ამ ნაკლოვანებათა ერთ-ერთ მიზეზთაგანი არის ის, რომ ხალხის ვაჭრობის ორგანოებში, კოოპერაციის აპარატში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ხალხი, რომელიც ვერ ახერხებს ხალხის მოთხოვნილების სწორად შესწავლას, ვერ ახერხებს ბრძოლას ბაზრის ირგვლივ მტრული ელემენტების წინააღმდეგ, ვერ ახერხებს ბრძოლას ხარისხიანი საქონლის მოსაზიდად.

პლენუმმა ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიიღო სათანადო ზომები.

პლენუმმა მიიღო სათანადო ზომები კოოპერაციის ქსელის კადრებით განსამტკიცებლად. ეწ ყობა ნოქრებისა და მოსანგარიშეების გადასამზადებელი კურსები.

ცეკას პლენუმის დადგენილების დამუშავებასთან დაკავშირებით პლენუმის ორგანიზაციული თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე გამომჟღავნებული იქნა მთელი რიგი დამაზინჯებები საბჭოთა კოოპერატიების მუშაობაში. მაგ., უჩამბის და დღვანის სოფლის კოოპერატივის მუშაკები კოლმეურნეებისა და ინდივიდუალურ მეურნე ღარიბ-საშუალო გლეხობისათვის გასაცემ საომხმარებლო საქონელს ანაწილებდნენ ძმა-ბიჭუოად. პარტიის და კომკავშირის ზოგიერთი წევრები (შ. ბერიძე, ნ. წულუკიძე, მუკუტაძე და სხვა) ამ მოვლენებთან გადამკრელი ბრძოლის წარმოების ნაცვლად, თვით უწყობდნენ ხელს ბოროტმოქმედებას.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას სექტემბრის პლენუმის დადგენილებათა რეალიზაციის საფუძველზე გაიზარდა სასოფლო-სამ. პროდუქციის დამზადების ტემპები.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ერთი ეარემოება: აზნეურის მუშაობა ზოგიერთი დახურული კოოპერატივები აწარმოებენ საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებთან, საჭირო პირდაპირ გადაცვლას. საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება საბჭოთა ვაჭრობის პრინციპის ასეთი დამახინჯების აღსაკეთად.

პ. ზ—ძე.

გავდევნოთ „ნეპმა ნური სული“ კოოპერაციიდან

19 ოქტომბერს, მორიგ პარტიულ დღეს უჯრედებში დამუშავებული იქნა ცეკას პლენუმის გადაწყვეტილება „საბჭოთა ვაჭრობის განვითარების და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შესახებ“, 25 ოქტომბერს კი „მაკი მტკიცუნის“ სახელობის პარტიის რაიონულმა კომიტეტმა გაიხსნა მომხსენებელთა კადრი 12 კაცის შემადგენლობით. ადგილობრივი კოოპერატიული და საკოლმეურნეო ორგანიზაციების გამორკვევის საფუძველზე პარტორგანიზაციამ დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები პლენუმის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკური რეალიზაციისათვის.

28 ოქტომბერს ჩატარდა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ბრიგადირების და მოსანგარიშეთა შეკრება, რომელზედაც და მუშავდა ცეკას სექტემბრის პლენუმის დადგენილებათა გარშემო, მესამე ბრიგადას — პლაკატების, ლოზუნგების შედგენა და თვალსაჩინო ადგილას გამოკრა. გამოყოფილი ბრიგადები შეუდგენ მუშაობას. გამოიკრა კრების დღის წესრიგი, ლოზუნგები, პლაკატები, და შეგროვდა მასალები კედლის გაზეთისათვის.

შუადღისას — დისკუსების საათებში ყველა ბრიგადებში ჩატარდა საუბრები პლენუმის დადგენილებათა შესახებ და მოსწავლე იქნა გამოყოფილი ბრიგადების ხელმძღვანელთა ინფორმაცია, ჩატარებული მუშაობის შესახებ.

გამოკვლევის შესალების საფუძველზე გამომუშავდა რეზოლუციის პროექტი. პროექტში კონკრეტულდება ნაჩვენები ის ღონისძიებები, თუ როგორ უნდა იბრძოლოს კოლმეურნეობა „ახალი წამოწყების“ გამოცდილების საფართო მასიური კრებაზე გადატანის საქმეში.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სექტემბრის პლენუმის დადგენილების რეალიზაციისათვის კამათში

როგორ ვამუშავებთ პლენუმის დადგენილებას კოლმეურნეთა მასებში

კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების მოწადებულად ჩატარების არ ტრადიცია სათანადო ყურადღება ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციების მიერ. საქ. კ. პ (ბ) აჭარისტანის სოლელი კომიტეტმა კოლმეურნეთა კრების მოწვევისათვის მოწესრიგებულად ჩატარების მიზნით გამოყო სას.-სამეურნეო არტელი „ახალი წამოწყება“, სადაც სანიმუშოდ იქნა ჩატარებული სამზადისი საერთო კრებისათვის. პირველად კოლმეურნეობის აქტივის კრებაზე მოსმენილ იქნა საინსტრუქციო სიუხარი საქ. კ.პ.(ბ) ცეკას სექტემბრის პლენუმის შედეგებზე. გამოიყო ბრიგადის თანამოსწავლეებით. დასწრების ზრდასთან ერთად თვალსაჩინოდ გაიზარდა კოლმეურნეთა აქტივობა. ასე, მაგ.: თუ წინად კამათში გამოდიოდა სამუალოდ ორი-სამი კაცი, 31 ოქტომბერს მოწვეულ კრებაზე კამათში მონაწილეობა მიიღო 8 კოლმეურნემ და 3 ინდივიდ. მეურნე გლეხმა.

საერთო კრებამ მიიღო სათანადო კონკრეტული ღონისძიებანი საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სექტემბრის პლენუმის დადგენილებათა რეალიზაციის საქმეში კოლმეურნეობების მიმართ. საერთო კრებამ ნაალად დაგვანახვა, თუ რა შედეგებს იძლევა კოლმეურნეთა საერთო კრების მომზადებულად ჩატარება, თუ წინად „ახალი წამოწყება“-ს წევრთა საერთო კრება სამზადისი მუშაობის სუსტად ვაშლის გამო ხშირად იშლებოდა ან და ძალზედ ნაკლები იყო დასწრება — 31 ოქტომბერს მოწვეულ კრებას დაესწრო 71 წევრი, ანუ 38 პროც. და 37 ინდივიდ. მეურნე ღარიბ-საშუალო გლეხი. მოსმენილი იქნა მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სექტემბრის პლენუმის შედეგებზე ბრიგადის თანამოსწავლეებით. დასწრების ზრდასთან ერთად თვალსაჩინოდ გაიზარდა კოლმეურნეთა აქტი

გავაძლიეროთ ბრძოლა ფინგეგმების შესრულებისათვის

ფინგეგმების შესრულებას—შეუნელებელი ყურადღება

ფინანსთა კომისარიატის ცნობით, ფულადი სახსრების მობილიზაციის ტემპები ა. წ. მეოთხე კვარტალის თვითეულ თვეში საშუალოდ. ოქტომბრის გეგმა შესრულებულია 82,1 პროც. მხოლოდ ქვემო სვანეთის რაიონმა შეინარჩუნა მესამე კვარტალის დამლეგის მაღალეტიანი მაღალი ტემპი და ოქტომბერ. გეგმა 8,1 პრ. გადაჭარბ. შესრულა. დანარჩენ რაიონებს ოქტომბრის გეგმა არა აქვთ შესრულებული. შედარებით წინ მიდის ფოთის რაიონი, რომელსაც შესრულებული აქვს გეგმის 97,9 პროც. და აჭარისტანი — შესრულებული აქვს 90 პროც.

სამარცხვინოთ ჩამორჩენ შემდეგი რაიონები: ზემო სვანეთს შესრულებული აქვს გეგმის 6,1 პროც., ტყიბულის რაიონს — 10,9 პროც., ლაგოდეხს — 21,3 პროც., ონს — 21,5 პროც., ჩხოროწყუს — 22,5 პროც., მცხეთას — 23,2 პროც., მარტვილს 23,7 პროც., ამბროლაურის — 27,7 პროც., ჩხარს — 29,1 პროც., ცაგერს — 29,7 პროც., წალკას — 29,6 პროც., ჭიათურის რაიონს — 30 პროც., ოზურგეთს — 31,8 პროც., ხობის რაიონს — 32,5 პროც., და სხ. შედარებით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს შემდეგი სახეების გამოსაღებებისა და გადასახადების აკრეფა: ზემო მეტი მოგების გადასახადის გეგმა შესრულებულია 125 პროც., ადგ. გადასახადები და გამოსაღებები — 181,5 პროც., სხ. სამ. გადასახადი 152,8 პროც., ტოტალგამოსაღები ქალაქად 145,7 პროც., სახდაზღვ ეო ქალაქად 289 პროც., სოფლად 125,9 პროც., სამხზრო სესხები — 148,5 პროც., მიზნობრივი სესხები — 275 პროც., სააით სამომხმარებლო კოოპერაციაში ქალაქად — 137,4 პროც., ანაბრები და ავანსები სამომხ. კოოპერაციაში ქალაქად— 114,6 პროც., სოფლად 497,3 პროც.

ძალზე ჩამორჩენილია შემდეგი სახეები: პირადი დაზღევება სოფლად — 13 პროც., ქალაქად — 40 პროც., საპაიო სამომხ. კოოპერაციაში სოფლად 11,9 პროც., გრძელვადიანი კრედიტის ფონდი — 36,4 პროც., მიზნობრივი შენატანები კოლმეურნეობებში — 31,6 პროც., ტრაქტორკენტრის აქციები 27,1 პროც., სახელმწიფო სესხი სოფლად — 46,3 პროც., ნებაყოფი ლობითი დაზღევება — 40 პროც., თვითდაბეგვრა — 47,2 პროც.

ორგანიზაციების მიხედვით გეგმის შესრულებაში წინ მიდიან: სხვადასხვა სახის კოოპერატიული გაერთიანებები — 118,1 პროც., ბინათმფლობელთა კოოპერატივები — 107,2 პროც., ფიზკულტ-სპორტის ორგანოები — 107 პროც., სარეწაო კოოპერაცია — 102,1 პროც.

ყველაზე ჩამორჩენილი არიან: ტრაქტორცენტრი, რომელსაც გეგმა შესრულებული აქვს 27,1 პროც. და კოლმეურნეობები — 32,2 პროც.—57 პროც.

მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რომ ფულადი სახსრების მობილიზაციის ტემპები წინა კვარტალთან შედარებით (მე-3 კვარტალის გეგმა შესრულებული იქნა 8,6 პროცენტის გადაჭარბებით) საგრძნობლად შესუსტებულია. ამასთან განსაკუთრებით ჩამორჩენებაყოფილობითი გამოსაღებების გეგმის შესრულება. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ ფინორგანოებმა ადგილებზე დამხმარე კომისიებმა, კომკავშირმა პრო.-ორგანიზაციებმა და სხვ. შეასრულეს რა მესამე კვარტალის გეგმა, დემობილიზაციურ განწყობილებას მიეცნენ და არ გაუმეღს ბრძოლა უკანასკნელი კვარტალის დაძაბულებათა შესრულებისათვის.

პრიველი ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დასრულებამდე მხოლოდ ორი თვე დარჩა, ამ ხანაში თვითეულმა რაიონმა და ორგანიზაციამ მთლიანად და გადაჭარბებით უნდა შეასრულოს საფინანსო გეგმა და მისი ცალკე ნაწილები სპეციალურ ჟურნალებში „კამპანიურობის“ მეთოდი. საჭიროა ყოველდღიური სისტემატური მუშაობა ფინგეგმების შესრულებაზე უზრუნველსაყოფად. ამ საქმეს სპეციალური ყურადღება ჩაუდგენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები.

ფულადი სახსრების მობილიზაცია I-ლ ნოემბრისათვის

რაიონები	აკრეფილია 1-ლამდე 30 ოქტ. (ათას მანეთ.)	ოქტომბრის გეგმის შესრულება 0/0-ობით		
სამხ.-ოსეთში	215,0	42,4	ტოლოშის	106,0	57,2
თბილისის რაიონში	350,30	70,7	ყარაიას	56,0	33,1
ბორჩალოს	„ 209,0	42,7	ოფხაზეთში	755,0	31,8
ბაშკირეთის	69,0	33,1	აჭარისტანში	898,0	90,0
წალკის	61,0	29,6	ქუთაისის რაიონში	680,0	73,5
ლიუსემბურგის	162,0	46,5	ზესტაფონის	271,0	64,2
გარდა-კახეთის	233,0	76,6	სამტრედიის	174,0	37,1
მცხეთის	58,0	23,2	ჭიათურის	120,0	30,0
ხაშურის	78,0	46,7	ამბროლაურის	85,0	27,7
ერწო-თიანეთის	59,0	44,3	ბაღდათის	56,0	29,4
ალვანელი-მანგლისის	223,0	67,9	ვანის	91,0	37,7
დუშეთის	118,0	36,5	ტყიბულის	24,0	10,9
თელავის	383,0	40,3	ონის	51,0	21,5
სიღნაღის	306,0	34,1	ჩხარის	61,0	29,1
გურჯაანის	270,0	42,5	ქვემო-სვანეთის	40,0	108,1
ლაგოდეხის	65,0	21,3	ცაგერის	59,0	29,7
ყვარელის	178,0	41,2	ხარაგოულის	130,0	47,9
გორის	516,0	74,7	ხონის	132,0	42,8
ბორჯომის	137,0	67,8	სენაკის	188,0	41,3
კასპის	165,0	46,3	მარტვილის	95,0	23,7
სტალინირის	273,0	47,9	აბაშის	85,0	40,6
ახალქალაქის	182,0	44,1	ზუგდიდის	264,0	70,2
ბოგდანოვის	99,0	50,0	ჩხოროწყუს	50,0	22,5
ახალციხის	261,0	61,5	წალენჯიხის	89,0	32,5
ადიგენის	144,0	49,1	ხობის	70,0	32,5
			ოზურგეთის	136,0	61,5
			ლანჩხუთის	65,0	51,1
			ჩოხატაურის	104,0	42,4
			ზემო-სვანეთის	2,0	6,1
			ფოთის	1444,0	97,9

წარმატებით დავამთავროთ სესხის რეალიზაცია

შემწახველ სალაროების სამმართველოს ცნობით, პირველ ნოემბრისათვის ოთხწლედის დამამთავრებელი წლის სესხი **საქართველოშია გაყიდული ობლიგაციები ოყო 46.844.000 მანეთის, რაოდენობით, შესრულებული ოყო საკონტროლო ციფრის 89,7 პროცენტი.** ამ რაოდენობიდან რაკნაც გზის მუშა-მოსამსახურეებმა შესრულებული ჰქონდათ საკონტროლო ციფრის 111,1 პროცენტი; მუშა-მოსამსახურეებს (რკინისგზელების ჩათვლით) 98,3 პროცენტი, ხოლო ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა გამოკლებით— 96,9 პროცენტი. კოლმეურნეებს ამავე რიცხვისთვის შესრულებული ჰქონდათ საკონტროლო ციფრის 88, პროცენტი და ინდივიდუალურ მეურნეობებს—47,6 პროცენტი. ამავე რიცხვისთვის გაფორმებული იყო ხელმოწერის 90,9 პროცენტი. ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეებს გაფორმებული აქვთ ხელმოწერილი თანხის 97 პროცენტი; ქალაქის დანარჩენ მუშა-მოსამსახურეებს—90,7 პროცენტი, ხოლო ქალაქის შეუკავშირებელ მოსახლეობას—92,7 პროცენტი, კოლმეურნეებს—81,9 პრ.

ხელმოწერილი სესხის დასაფარად 1-ლ ნოემბრისათვე შემოსული **სულ 13.647.000 მანეთი, რაც გაფორმებული ხელმოწერის 35,5 პროც.** შეადგენს. მუშა-მოსამსახურეთა სექტორის (ტრანსპორტის გარეშე) შეტანილი ჰქონდა გაფორმებული ხელმოწერის მხოლოდ 28 პროც.; ქალაქის დანარჩენ მოსახლეობას 31,7 პროცენტი, კოლმეურნეებს ხელმოწერის 38,9 პროცენტი; ხოლო ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეებს ხელმოწერილი აქვთ ხელი მუშა-მოსამსახურეთა 89,1 პროც. და კოლმეურნეთა 44,7 პროც.

სად როგორ ასრულებენ ანაბრების მოზიდვის გეგმებს

გეგმით თანახმად ოქტომბრის მესამე დეკადაში, ანაბრების ჯამი შეძენილი სალაროებში უნდა გაზრდილიყო 192.100 მანეთით. ფაქტიურად გაზრდილია 180.100 მანეთით, შესრულებულია გეგმის 94 პროც., მაგრამ იმის გამო, რომ წინა დეკადებში ანაბრების დიდ უკუქცევას ჰქონდა ადგილი, შემნახველ სალაროებს კვარტალის გეგმა მხოლოდ 2 პროც. აქვთ შესრულებული.

ოქტომბრის გეგმების შესრულებაში პირველი ადგილი დაიკავეს შემდეგმა რაიონებმა: **ოფხაზეთის** შესრულებული აქვს ანაბრების მოზიდვის გეგმის 207,6 პროც., **ადლეთის** რაიონს 337,9 პროც.; **ვანის** რაიონს—169,2 პროც.; **ქუთაისის** რაიონს—169,5 პროც.; **ლიუსემბურგის** რაიონს—453,4 პროც.; **ფოთის** რაიონს—100 პროც., **ცაგერის** რაიონს—546 პროც. და **ჩოლურის** რაიონს—178,2 პროც.

ანაბრების უკუქცევას ადგილი აქვს შემდეგ რაიონებში—სამხრეთ-ოსეთში ანაბრების ჯამი შემცირებულია 15.300 მანეთით, აბაშის რაიონში—6.900 მანეთით, ადიგენის—18.500 მან.; ახალქალაქის—5.500 მან.; ბოგდანოვის—6.200 მან.; ზაკატალის—1600 მან.; ბორჯომის—14.000 მან.; გორის—15.500 მან.; დუშეთის—600 მან.; ზესტაფონის—7.200 მან.; ზუგდიდის—25.300 მ., ყვარელის—1.300 მან., ლაგოდეხის—8,000 მან., ლანჩხუთის—5.700 მან.; მცხეთის—400 მან.; ოზურგეთის—4.300 მან.; ონის—9.900 მან.; სიღნაღის—3.000 მან.; თბილისის—138,800 მან.; ხარაგოულში—500 მან., ხონში—12.500 მან.; წალენჯიხის რაიონში—1.300 მან.; წალკის რაიონში—4.350 მ.; ჭიათურის რაიონში—8.500 მან.; ჩხარის რაიონში—7.900 მან. და ერწო-თიანეთის რაიონში—3.250 მანეთით.

ამ სამრეწველო მდგომარეობას გამოსწორებას დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. შემნახველ სალაროებმა ყველა სამმართველოს კონკრეტული ზომები უნდა მიიღოს შემნახველ სალაროების ქსელის მუშაობის მაღალ საფეხურზე დასაყენებლად. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი შემნახველი სალაროების უმეტესობას დღემდე ვერ გარდაუქმნია მუშაობა მათ წინაშე დაყენებულ ამოცანებთან შეფარდებით. აქ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი გაუპატიოსნება და გათანაბრება.

ეს მდგომარეობა დაუყოვნებლივ და საფუძლიანად უნდა გამოსწორდეს.

ფართოდ გავშალოთ გაზეთების კონკურსი

ფინგეგმების შესრულების დახმარებისათვის

გაზ. „იზვესტია“ საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, საფინანსო სახალხო კომისარიატთან, საფინანსო სახალხო კომისარიატთან და სხვ. შეასრულეს რა მესამე კვარტალის გეგმა, დემობილიზაციურ განწყობილებას მიეცენ და არ გაუმეღს ბრძოლა უკანასკნელი კვარტალის დაძაბულებათა შესრულებისათვის.

პირველი ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დასრულებამდე მხოლოდ ორი თვე დარჩა, ამ ხანაში თვითეულმა რაიონმა და ორგანიზაციამ მთლიანად და გადაჭარბებით უნდა შეასრულოს საფინანსო გეგმა და მისი ცალკე ნაწილები სპეციალურ ჟურნალებში „კამპანიურობის“ მეთოდი. საჭიროა ყოველდღიური სისტემატური მუშაობა ფინგეგმების შესრულებაზე უზრუნველსაყოფად. ამ საქმეს სერიოზული ყურადღება მიაქციონ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები.

წარმოების ინტენსიფიკაციის ბრძოლა

ფინანსური ბრძოლა

ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობით, ფულადი სახსრების მობილიზაციის ტემპები ა. წ. მეოთხე კვარტალის თვითეულ თვეში საშუალოდ. ოქტომბრის გეგმა შესრულებულია 82,1 პროც. მხოლოდ ქვემო სვანეთის რაიონმა შეინარჩუნა მესამე კვარტალის დამლეგის მაღალეტიანი მაღალი ტემპი და ოქტომბერ. გეგმა 8,1 პრ. გადაჭარბ. შესრულა. დანარჩენ რაიონებს ოქტომბრის გეგმა არა აქვთ შესრულებული. შედარებით წინ მიდის ფოთის რაიონი, რომელსაც შესრულებული აქვს გეგმის 97,9 პროც. და აჭარისტანი — შესრულებული აქვს 90 პროც.

სამარცხვინოთ ჩამორჩენ შემდეგი რაიონები: ზემო სვანეთს შესრულებული აქვს გეგმის 6,1 პროც., ტყიბულის რაიონს — 10,9 პროც., ლაგოდეხს — 21,3 პროც., ონს — 21,5 პროც., ჩხოროწყუს — 22,5 პროც., მცხეთას — 23,2 პროც., მარტვილს 23,7 პროც., ამბროლაურის — 27,7 პროც., ჩხარს — 29,1 პროც., ცაგერს — 29,7 პროც., წალკას — 29,6 პროც., ჭიათურის რაიონს — 30 პროც., ოზურგეთს — 31,8 პროც., ხობის რაიონს — 32,5 პროც., და სხ. შედარებით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს შემდეგი სახეების გამოსაღებებისა და გადასახადების აკრეფა: ზემო მეტი მოგების გადასახადის გეგმა შესრულებულია 125 პროც., ადგ. გადასახადები და გამოსაღებები — 181,5 პროც., სხ. სამ. გადასახადი 152,8 პროც., ტოტალგამოსაღები ქალაქად 145,7 პროც., სახდაზღვ ეო ქალაქად 289 პროც., სოფლად 125,9 პროც., სამხზრო სესხები — 148,5 პროც., მიზნობრივი სესხები — 275 პროც., საპაიო სამომხმარებლო კოოპერაციაში ქალაქად — 137,4 პროც., ანაბრები და ავანსები სამომხ. კოოპერაციაში ქალაქად— 114,6 პროც., სოფლად 497,3 პროც.

ძალზე ჩამორჩენილია შემდეგი სახეები: პირადი დაზღევება სოფლად — 13 პროც., ქალაქად — 40 პროც., საპაიო სამომხ. კოოპერაციაში სოფლად 11,9 პროც., გრძელვადიანი კრედიტის ფონდი — 36,4 პროც., მიზნობრივი შენატანები კოლმეურნეობებში — 31,6 პროც., ტრაქტორკენტრის აქციები 27,1 პროც., სახელმწიფო სესხი სოფლად — 46,3 პროც., ნებაყოფლობითი დაზღევება — 40 პროც., თვითდაბეგვრა — 47,2 პროც.

ორგანიზაციების მიხედვით გეგმის შესრულებაში წინ მიდიან: სხვადასხვა სახის კოოპერატიული გაერთიანებები — 118,1 პროც., ბინათმფლობელთა კოოპერატივები — 107,2 პროც., ფიზკულტ-სპორტის ორგანოები — 107 პროც., სარეწაო კოოპერაცია — 102,1 პროც.

ყველაზე ჩამორჩენილი არიან: ტრაქტორცენტრი, რომელსაც გეგმა შესრულებული აქვს 27,1 პროც. და კოლმეურნეობები — 32,2 პროც.—57 პროც.

მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რომ ფულადი სახსრების მობილიზაციის ტემპები წინა კვარტალთან შედარებით (მე-3 კვარტალის გეგმა შესრულებული იქნა 8,6 პროცენტის გადაჭარბებით) საგრძნობლად შესუსტებულია. ამასთან განსაკუთრებით ჩამორჩენებაყოფილობითი გამოსაღებების გეგმის შესრულება. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ ფინორგანოებმა ადგილებზე დამხმარე კომისიებმა, კომკავშირმა პრო.-ორგანიზაციებმა და სხვ. შეასრულეს რა მესამე კვარტალის გეგმა, დემობილიზაციურ განწყობილებას მიეცენ და არ გაუმეღს ბრძოლა უკანასკნელი კვარტალის დაძაბულებათა შესრულებისათვის.

პირველი ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დასრულებამდე მხოლოდ ორი თვე დარჩა, ამ ხანაში თვითეულმა რაიონმა და ორგანიზაციამ მთლიანად და გადაჭარბებით უნდა შეასრულოს საფინანსო გეგმა და მისი ცალკე ნაწილები სპეციალურ ჟურნალებში „კამპანიურობის“ მეთოდი. საჭიროა ყოველდღიური სისტემატური მუშაობა ფინგეგმების შესრულებაზე უზრუნველსაყოფად. ამ საქმეს სერიოზული ყურადღება მიაქციონ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები.

ფულადი სახსრების მობილიზაცია I-ლ ნოემბრისათვის

რაიონები	აკრეფილია 1-ლამდე 30 ოქტ. (ათას მანეთ.)	ოქტომბრის გეგმის შესრულება 0/0-ობით		
სამხ.-ოსეთში	215,0	42,4	ტოლოშის	106,0	57,2
თბილისის რაიონში	350,30	70,7	ყარაიას	56,0	33,1
ბორჩალოს	„ 209,0	42,7	ოფხაზეთში	755,0	31,8
ბაშკირეთის	69,0	33,1	აჭარისტანში	898,0	90,0
წალკის	61,0	29,6	ქუთაისის რაიონში	680,0	73,5
ლიუსემბურგის	162,0	46,5	ზესტაფონის	271,0	64,2
გარდა-კახეთის	233,0	76,6	სამტრედიის	174,0	37,1
მცხეთის	58,0	23,2	ჭიათურის	120,0	30,0
ხაშურის	78,0	46,7	ამბროლაურის	85,0	27,7
ერწო-თიანეთის	59,0	44,3	ბაღდათის	56,0	29,4
ალვანელი-მანგლისის	223,0	67,9	ვანის	91,0	37,7
დუშეთის	118,0	36,5	ტყიბულის	24,0	10,9
თელავის	383,0	40,3	ონის	51,0	21,5
სიღნაღის	306,0	34,1	ჩხარის	61,0	29,1
გურჯაანის	270,0	42,5	ქვემო-სვანეთის	40,0	108,1
ლაგოდეხის	65,0	21,3	ცაგერის	59,0	29,7
ყვარელის	178,0	41,2	ხარაგოულის	130,0	47,9
გორის	516,0	74,7	ხონის	132,0	42,8
ბორჯომის	137,0	67,8	სენაკის	188,0	41,3
კასპის	165,0	46,3	მარტვილის	95,0	23,7
სტალინირის	273,0	47,9	აბაშის	85,0	40,6
ახალქალაქის	182,0	44,1	ზუგდიდის	264,0	70,2
ბოგდანოვის	99,0	50,0	ჩხოროწყუს	50,0	22,5
ახალციხის	261,0	61,5	წალენჯიხის	89,0	32,5
ადიგენის	144,0	49,1	ხობის	70,0	32,5
			ოზურგეთის	136,0	61,5
			ლანჩხუთის	65,0	51,1
			ჩოხატაურის	104,0	42,4
			ზემო-სვანეთის	2,0	6,1
			ფოთის	1444,0	97,9

სად როგორ ასრულებენ ანაბრების მოზიდვის გეგმებს

გეგმით თანახმად ოქტომბრის მესამე დეკადაში, ანაბრების ჯამი შეძენილი სალაროებში უნდა გაზრდილიყო 192.100 მანეთით. ფაქტიურად გაზრდილია 180.100 მანეთით, შესრულებულია გეგმის 94 პროც., მაგრამ იმის გამო, რომ წინა დეკადებში ანაბრების დიდ უკუქცევას ჰქონდა ადგილი, შემნახველ სალაროებს კვარტალის გეგმა მხოლოდ 2 პროც. აქვთ შესრულებული.

ოქტომბრის გეგმების შესრულებაში პირველი ადგილი დაიკავეს შემდეგმა რაიონებმა: **ოფხაზეთის** შესრულებული აქვს ანაბრების მოზიდვის გეგმის 207,6 პროც., **ადლეთის** რაიონს 337,9 პროც.; **ვანის** რაიონს—169,2 პროც.; **ქუთაისის** რაიონს—169,5 პროც.; **ლიუსემბურგის** რაიონს—453,4 პროც.; **ფოთის** რაიონს—100 პროც., **ცაგერის** რაიონს—546 პროც. და **ჩოლურის** რაიონს—178,2 პროც.

ანაბრების უკუქცევას ადგილი აქვს შემდეგ რაიონებში—სამხრეთ-ოსეთში ანაბრების ჯამი შემცირებულია 15.300 მანეთით, აბაშის რაიონში—6.900 მანეთით, ადიგენის—18.500 მან.; ახალქალაქის—5.500 მან.; ბოგდანოვის—6.200 მან.; ზაკატალის—1600 მან.; ბორჯომის—14.000 მან.; გორის—15.500 მან.; დუშეთის—600 მან.; ზესტაფონის—7.200 მან.; ზუგდიდის—25.300 მ., ყვარელის—1.300 მან., ლაგოდეხის—8,000 მან., ლანჩხუთის—5.700 მან.; მცხეთის—400 მან.; ოზურგეთის—4.300 მან.; ონის—9.900 მან.; სიღნაღის—3.000 მან.; თბილისის—138,800 მან.; ხარაგოულში—500 მან., ხონში—12.500 მან.; წალენჯიხის რაიონში—1.300 მან.; წალკის რაიონში—4.350 მ.; ჭიათურის რაიონში—8.500 მან.; ჩხარის რაიონში—7.900 მან. და ერწო-თიანეთის რაიონში—3.250 მანეთით.

ამ სამრეწველო მდგომარეობას გამოსწორებას დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. შემნახველ სალაროების ქსელის მუშაობის მაღალ საფეხურზე დასაყენებლად. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი შემნახველი სალაროების უმეტესობას დღემდე ვერ გარდაუქმნია მუშაობა მათ წინაშე დაყენებულ ამოცანებთან შეფარდებით. აქ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი გაუპატიოსნება და გათანაბრება.

ეს მდგომარეობა დაუყოვნებლივ და საფუძლიანად უნდა გამოსწორდეს.

ფართოდ გავშალოთ გაზეთების კონკურსი

ფინგეგმების შესრულების დახმარებისათვის

გაზ. „იზვესტია“ საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, საფინანსო სახალხო კომისარიატთან, საფინანსო სახალხო კომისარიატთან და სხვ. შეასრულეს რა მესამე კვარტალის გეგმა, დემობილიზაციურ განწყობილებას მიეცენ და არ გაუმეღს ბრძოლა უკანასკნელი კვარტალის დაძაბულებათა შესრულებისათვის.

პირველი ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დასრულებამდე მხოლოდ ორი თვე დარჩა, ამ ხანაში თვითეულმა რაიონმა და ორგანიზაციამ მთლიანად და გადაჭარბებით უნდა შეასრულოს საფინანსო გეგმა და მისი ცალკე ნაწილები სპეციალურ ჟურნალებში „კამპანიურობის“ მეთოდი. საჭიროა ყოველდღიური სისტემატური მუშაობა ფინგეგმების შესრულებაზე უზრუნველსაყოფად. ამ საქმეს სერიოზული ყურადღება მიაქციონ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები.

შეჯირულს პასუხი უნდა მოეთხოვოს

(კოლმეურნეების წერილი)

წელიწადზე მეტია, რაც სოფ. დვაბზუს კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლის გამგეთ დაინიშნა ალარიონ შეწირული.

შეწირული უხეშად ეპყრობა, როგორც მოწაფეებს, ისე მასწავლებლებს. იგი მოწაფეებს არქმევს შეტ სახელებს (დოყლა-პირა, გომბეშო) და დასჯისნის. მათ. ამის გამო კოლმეურნეობას ბოსტანის მოწყობის გეგმა ჩაეშალა. პამიდორის ნერგიდან აღებული ფული კი შეწირულმა თავის „მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოახმარა“. იგი აგრეთვე ორგულად ეპყრობა სკოლის ქონებას. ინვენტარი და იარაღ-მანქანები ცისქვეშ ყრია და ფუჭდება. ზოგი კიდეც დაიტაცეს.

შეწირულმა სოფ. დვაბზუს კლუბის გამგეთ ყოფნის დროს გაფლანგა კლუბის სასრაგებლოდ შეგროვილი 700 მანეთი, მითვისება 90 ცალი ფიცარი და სხვ.

უკანასკნელად შეწირულმა დაიწყო კარტის თამაში. ა. ლორწტთან თამაშის დროს წააგო მასწავლებლების ჯამაგირი 1.000 მანეთამდე რის გამო მასწავლებელმა ჰიჭვაძემ და სხვებმა ხელფასი ძალზე დაგვიანებით მიიღეს.

შეწირული ავიწროებს კომკავშირის ორგანიზაციას. ამის შესახებ ადგილობრივ კედლის გაზეთში მოთავსებული იყო წერილი, მაგრამ უშედეგოდ, პირიქით, „პირადი შეურაცყოფისათვის“ დეღნა დაუწყო კომკავშირელებს.

ამჟამად შეწირული არბენად გრძობს თავს. კვლავ უფათურებს ხელებს სახოგადოებრივ ქონებაში. თითეულ ახალ წამოწყებას და ახალ საქმეს ჭირისუფალით დასტრიალებს თავს, და ყველგან „ხელის შუქყს“ და გამოსარჩენს დაეძებს.

ადგილობრივი სოფლის საბჭო და პარტორგანიზაცია ამ უსინდისოების წინააღმდეგ არ იღებს საჭირო ზომებს. კერძოთ სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ამ საქმეში დაუნდობელ ბრძოლას არ აწარმოებს.

ჩვენ მოვითხოვთ საზოგადებრივი ქონების გამნიავებელის სანიშნოდ დასჯას.

კოლმეურნეები: ნ. ღლონტი, ი. ჩხაიძე, პ. რუხაძე, ჰ. ღლონტი, ივ. ღლონტი.

ვის ხელშია ქუთაისის აგრეშუმის სასწავლო კომბინატი

როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივ გაზეთებში არა ერთხელ იყო აღნიშნული ქუთაისის აბრეშუმის სასწავლო კომბინატის დირექტორის **ს. სვანიძის** და მისი მოადგილე **ა. დარახველიძის** თვითნებური მოქმედების და სკოლის ქონების გაწიავების შესახებ; მაგრამ ამ მდგომარეობისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

უკანასკნელად ს. სვანიძე გადაიყვანეს ძაფსაღებ ქარხანაში, მაგრამ მან მოახერხა კომბინატის დირექტორად დატოვებება თავისი „მემკვიდრე“ დარახველიძე. რა ჩაიდინეს ამ „გმრიებმა“?

გასული წლის ნოემბერში „მოწყალების საერთო საქხოვრებელის საზოგადოებისათვის“, კომბინატის ადმინისტრაციამ გამოიტანა საწოლები, 870 მანეთად ღირებული; საწოლები კომბინატის თანამშრომლებმა დაინაწილეს, თანხა ნაწილობრივ თუ ბერკალში დაფარეს, ხოლო მთლიანად კი ის დღემდი არ არის დაფარული.

აბრეშუმის ტრესტმა კომბინატის მუშა - მოსამსახურეებისა და პედპერსონალისათვის დასარიგებლად გამოგზავნა ათასი მეტრი აბრეშუმი. აბრეშუმი სვანიძემ თავის ნაცნობ-მეგობრებში დაარიგა თვითღირებულების ფასებში. ასე მაგ.: თვითონ მან მიიღო 46 მეტრი, მისმა დამ 32 მეტრი, ბიძაშვილმა ს. სვანიძემ 29 მეტრი; არც დარახველიძემ დააკლო ხელი აბრეშუმს; ხოლო სხვა თანამშრომლებს თითო-ოროლა მეტრი დაურიგეს.

სვანიძემ სკოლიდან მოხსნა საუკეთესო მასწავლებლები, ხოლო მათ ადგილზე მარტის თვიდან დანიშნა მისი და აკუწინა და ბიძაშვილი ს. სვანიძე; მათთვის ხელოვნურად შექმნა გეოგრაფიის გაკვეთილები. აკუწინა სვანიძეს და ს. სვანიძეს არ უმუშავიათ ორი თვეც კი; ხოლო საზაფხულო შვებულების ფული მთლიანად მიიღეს. ამან სკოლაში სხვა თანამშრომელთა შორის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. დღესაც არ არის სკოლაში ნამდვილი შტატი. არ არის მტკიცე ცხრილი, არ დაწყებულა ნორმალური მეცადინეობა.

სკოლას აკლია მასწავლებლები. განათლების განყოფილებამ სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად გამოგზავნა ამხ. **კუპავა**, რომელიც სკოლის დირექტორმა არ მიიღო. განათლების განყოფილების სამი ბრძანება გახდა საჭირო, რომ ამხ. კუპავა ჩარიცხულიყო მათემატიკის მასწავლებლად.

ძაფსაღებ ქარხანაში გადაყვანის შემდეგ სვანიძე აბრეშუმის ტრესტმა მაინც დასტოვა კომბინატში ტრესტის რწმუნებულად, დარახველიძე კი რწმუნებულს ძმობილურად დაუნიშნა 300 მანეთი ჯამაგირი, რის უფლება მას არ ჰქონდა.

კომბინატორები: სვანიძე და დარახველიძე პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემულნი.

ნიკოლაძე.
ბეჟანიშვილი;
ფხაკაძე.

რატომ გამიუიდეს მუშა-საქონელი

(დიტილარმიძლის წერილი)

1930 წელს გამოწვეულ წლიურ არმიის რიგებში, ქობულეთის ა.-კ. სტალინის სახელობის დივიზიაში. ვარ სოფ. ჩხარიდან; 1931 წლის იანვარში ჩემი ხარი, რომელიც მერგო მამის ოჯახიდან, გამოყოფის დროს, სოფლის საბჭომ ძალით წაიყვანა და სახორცედ გაყიდა; მივმართე სოფ. საბჭოს შეკითხვით: რატომ დაკლეს ჩემი ხარი, მაგრამ ამ უკანასკნელიდან ვერავითარი პასუხი ვერ მივიღე; ამის შესახებ ვაცნობე დივიზიის სარდლობას, რომლისაგანაც მივიღე სათანადო ჭაღალდი, სოფ. საბჭოს თავმჯდომარე ღვდელაძემ და მდივანმა ბუცხრიკიძემ ჩემს ცოლს და მამას; რომლებმაც მათ დივიზიის სარდლობიდან მოკეთილი ცნობა წარუდგინეს, ასე უპასუხეს: „მოგვშორდით თორემ ორთავეს დაგაპატიმრებთო“.

შემდეგ დივიზიის სამხედრო კომისარმა ამხ. **ბლუაშვილმა** მომცა სათანადო მიმართვა, მაგრამ ამ მიმართვასაც იგივე ბედი ეწვია, რაც პირველს. ამის შემდეგ ყველაფერი დიდის პროკურორს ამხ. **ნადარეიშვილს** ვაცნობე, რომელმაც როგორც რაიონმასკომს, ისე სოფ. საბჭოს გაუგზავნა მიმართვა. მდგომარეობა არც ამის შემდეგ გამოსწორებულა.

უკანასკნელად მივმართე კავკასიის წითელდროშოვან არმიის პროკურორს ამხ. **სიმონგულოვს**, რომელმაც პირადათ მოელაპარაკა **ჩხარის** რაიონმასკომის თავმჯდომარის მოადგილე — **ალ. ფანჩულიძეს.** ამ უკანასკნელმა შიპპირდა პროკურორს ხარის ფასის ანაზღაურება. მაგრამ ეს დაპირება მხოლოდ დაპირებად დარჩა და ჩხარის რაიონის სოფ. საბჭოს ხელმძღვანელთა წინაშე არავითარი მიმართვამ არ გასჭრა.

ჩემს ოჯახს შეწყვეტილი აქვს ყოველგვარი დახმარება, რაც კანონის თანახმად მეკუთვნის, წითელარმიელის ოჯახის წევრებს.

არ ვიცი, რით აიხსნება ყველაფერი ეს. და რისთვის არის საჭირო ჭაღალდების ასეთი კორიანტელი? განა ასე უნდა ასრულებდეს სოფლის და რაიონული საბჭო პარტიისა და ხელისუფლების განკარგულებებს წითელარმიელების ოჯახებისათვის დახმარების გაწევის შესახებ?

წითელარმიელი: ს. ფანჩულიძე.

—:—

რედაქციისაგან.

ამხ. ს. ფანჩულიძის წერილში მოყვანილი ფაქტები აშკარად ლაპარაკობენ წითელარმიელისადმი, ჩხარის სასოფლო საბჭოს და რაისაბჭოს ხელმძღვანელთა უსულგულო, ბიუროკრატიულ დამოკიდებულებაზე. საქმის გამჭვიანურებელთა წინააღმდეგ საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება და კონკრეტულ დამნაშავეთა სამაგალითოდ დასჯა. „კომუნისტი“ ასეთს მოელის ჩხარის რაიონის პარტიული კომიტეტისაგან.

მოსავლის განაწილების ერთიანური კოლმეურნეობებში

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ასპირანტურაში მიღების პირობები

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ასპირანტურაში ძირითად განყოფილებაზე მიიღებიან საკ. კომპარტიის (ბ) წევრები უთავრესად მუშები, რომელთაც აქვთ სოციალური მომზადება უმაღლეს კომუნისტურ სასწავლებლის ფარგლებში მაინც, აქვთ აგრეთვე პრაქტიკული პარტიული საბჭოთა და პროფკავშირული მუშაობის გამოცდილება.

2. პარტსტაჟი შემსვლელთათვის წესდება: მუშებისათვის არანაკლებ 5 წლისა, მოსამსახურეებისათვის — 7 წელი. თუ შემსვლელი 3 წელს ან მეტ ხანს აქტიურად მუშაობდა კომკავშირში (რაიონულ მხარტაბის ხელმძღვანელ სამუშაოზე), პარტსტაჟი შეიძლება შემცირებულ იქნას 1—2 წლით.

შემსვლელთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს.

3. იმ ამხანაგების ციფრის შემოწმება, რომელნიც შედიან ძირითად განყოფილებაზე, სწარმოებს თეორიულ ჟურნალში ფილოსოფიაში და საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტთან სპეციალურად მოწყობილ სემინარებზე ერთი თვის განმავლობაში, რის შემდეგ ხდება ყველა ამხანაგების ზეპირი გამოცდა ამავე დისციპლინებში.

4. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე მიიღებიან საკ. კომპარტიის (ბ) წევრები უმთავრესად მუშები, რომელთაც აქვთ საწარმოო სტაჟი არა ნაკლებ სამი წლისა, თეორიული მომზადება მეორე სფეხურის სახვიო პარტსკოლის ფარგლებში მაინც და საერთო განათლება მუშთა-ახალგაზრდობის პარტსტაჟი წესდება მუშებისათვის 3 წელი, კოლმეურნეებისათვის — 4 წელი.

მისაღები ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 32 წელს;

ამხანაგები, რომელნიც შედიან მოსამზადებელ განყოფილებაზე